ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3062626

ნომერი: AR1471883

თარიღი : 20.01.2017

გაცემის თარიღი : 25.01.2017

გაცნობის თარიღი : 27.01.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ტექნიკური უნივერსიტეტის შახტა-ლაბორატორიის შესასვლელის მიმდებარედ, (23/2) / ქალაქი თბილისი , ტექნიკური უნივერსიტეტის შახტა-ლაბორატორიის მიმდებარედ (ნაკვეთი 23/003);

დამკვეთი-განმცხადებელი
- თინათინ კიკვიძე პ/ნ 60001016540
- თბილისი,გორკის შესახვევი 3

ორგანიზაცია:
- შპს ვ.დ. კაპიტალი კოდი: 205046010

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხადაც გაცნობებთ, რომ სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია პირველი ფოტომონტაჟის საფუძველზე ხის ღობის განთავსება, იმ აუცილებელი პირობის გათვალისწინებით, რომ მისი ფერი და ვიზუალი მაქსიმალურად მიახლოვებული უნდა იქნას არსებული ღობის ზედა ნაწილთან (მისი ნაწილები არ უნდა იქნას ერთმანეთთან მიბჯენილი , ანუ ყრუ) რათა არ მოხდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების : მუხლი 37, პუნქტი 1 – ის დარღვევა . (ანუ მიწის ნაკვეთი შეიძლება შემოიღობოს არაუმეტეს 2,2 მეტრი სიმაღლის ღობით, ამასთან, ღობის ყრუ ნაწილი არ უნდა აღემატებოდეს 1,8 მეტრს)

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დაკორექტირდეს „.კორექტირებული ფოტომონტაჟი“-ს ველში ატვირთული პირველი ფოტომონტაჟი და მეტი თვალსაჩიბოებისათვის წარმოდგენილი იქნას ღობის საპროექტო ნაწილი დიდ მასშტაბში შესრულებული შესაბამისი დეტალიზაციით (დეტალურად გაბარიტული ზომებისა და მასალის მითითებით), მასალა აიტვირთოს შესაბამის ველებში.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.